

პროექტების განხორციელების საბაზრო გარემოს სისტემური კვლევის მექანიზმები და მახასიათებლები

მარინა ქურდაძე¹, იზოლდა ყურაშვილი² ანა ჯიქია³

¹პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების აკადემიური დეპარტამენტის უფროსი. 555441020, m.kurdadze@gtu.ge, orcid- 0009-0001-2918-3328

²ასოციირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების აკადემიური დეპარტამენტი. 599557725, kurashviliizolda02@gtu.ge, orcid- 0009-0007-9562-5618

³ასისტენტ პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დეპარტამენტი. 593270208, ananojiqia0603@gmail.com orcid- 0009-0005-9701-2116

რეზიუმე

პროექტების განხორციელების ორგანიზაციული მართვის სტრუქტურებისა და ფუნქციონირების მექანიზმების თანმიმდევრული ფორმირების პროცესი, მოითხოვს სიახლეთა კვლევის, დამუშავების, დანერგვის და მათი რეალიზების ერთიანი-სისტემური მეთოდების გამოყენებას. ფუნქციონირების მექანიზმში არსებული ან მოსალოდნელი დაბრკოლებები განპირობებულია მასზე მოქმედი მრავალი შიდა თუ გარე ფაქტორით, დიდი მოცულობის საჭირო ინფორმაციის მოძიების და დამუშავების სიძნელით. ამიტომ საჭიროა კვლევის ერთიანი სისტემის გამოყენება პროექტების მართვაში, უნდა არსებობდეს ხედვის ერთიანი არე, რომელშიც მოექცევა მართვის ერთიანი სპექტრი და არა მისი გარკვეული ნაწილები. ამ კონტექსტში ნაშრომში განხილულია ფორმაში დადებითი ფუნქციონირების მიზნით პროექტების შემდგომი მართვის სისტემური კვლევა და ანალიზი. სისტემური მიდგომა დაფუძნებულია კვლევის ობიექტის, ამ შემთხვევაში ფორმის ორგანიზაციულობის (ობიექტი, მოვლენა ან პროცესი) სისტემურ ხედვაზე, ანუ მისი მახასიათებლების და მათ შორის არსებული კომუნიკაციური კანონზომიერებების მთლიანობაზე, ინტეგრირებული განხილვის და კვლევის შესაძლებლობაზე. სისტემური მიდგომის გამოყენებით შესაძლებელია კომპლექსურად, ყოველმხრივ შევისწვლეთ ფორმაში (ობიექტზე) ამ კუთხით თითოეული სტრუქტურის ფუნქციონირების პრობლემები, გამოვყოთ პრიორიტეტული ქვეჯგუფები და მოვახდინოთ მათი ძირითადი ეკონომიკური მახასიათებლების რაციონალური მართვა.

ნაშრომში ყურადღება ეთმობა ფირმაში (ობიექტზე) ფუქციონირების პროცესში პროექტის სრულყოფის ერთ-ერთ მიმართულებას. კერძოდ, არსებულ გარემოებების და მართვის კუთხით ხაზოვან-ფუნქციონალურ სტრუქტურის მიზნობრიობას, რაც უზრუნველყოფილ იქნება ფირმის ძალებით და განახორციელებს გეგმიური ქმედებების მათემატიკური მოდელის ბაზურ ვარიანტს.

საკვანძო სიტყვები: პროექტი, დაგეგმვა, სისტური, პრედიკატია, ხაზოვან-ფუნქციონალური, ბაზური ვარიანტი.

ქვეყანა თავის ადგილს მსოფლიო ბაზარზე, საინვესტიციო რესურსების მობილიზებით, წარმოების ტექნოლოგიური სრულყოფით და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესით იმკვიდრებს. ამ ყველაფერს ხელს უწყობს ნებისმიერი სახის პროექტების განხორციელება, რის საფუძველზეც ხდება გაუმჯობესებული ხარისხის პროდუქციის წარმოება და ბაზარზე საკუთარი გამორჩეული ადგილის დამკვიდრება. ბაზარი კი მწარმოებლისა და მომხმარებლის თავისუფლებაა, რომელიც მათ შორის პირდაპირ კავშირს და ჩარევის გარეშე ურთიერთობას გულისხმობს. ცნობილია, რომ საბაზრო ურთიერთობაში, პრობლემა “რა-როგორ-რისთვის” წყდება ფასის, მოთხოვნის და მიწოდების, მოგების და ხარჯების დათვლის საშუალებით. (Kurdadze Marina, 2021)

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ორგანიზაციას (ფირმას), შეუძლია შეიძინოს შესაბამის ბაზარზე ყველა მისთვის აუცილებელი რესურსი და განახორციელოს მომგებიანი პროექტი, რომელიც გარკვეული დროითი პარამეტრის გათვლის საფუძველზე განსაზღვრავს საქმიანობის მაქსიმალურ მოცულობას და თავისივე დანერგილი ტექნოლოგიის პირობებში გათვლის მოგების სხვადასხვა კომბინაციებს.

ფირმის მიერ გამოშვებული პროდუქცია და ამ პროდუქციის წარმოებაზე შეძენილი საშუალებების (ერთიანი ჯგუფი, ქვეჯგუფთა ნაკრების ჯამი) სხვადასხვა ეკონომიკური კატეგორიაა და საჭიროებს სისტემურ მიდგომას მათი ოპტიმალური ვარიანტებით ხარჯვის ან გამოშვების თვალსაზრისით. (kurdadze M., 2019) ასევე საგულისხმოა, როცა სისტემურ მიდგომებს განვიხილავთ, აუცილებელი ხდება მსაზღვრელი დროითი პარამეტრებისა და გარემოებების გათვალისწინება, თუ როგორი ან რა პროდუქტის წარმოებაზე და პროდუქციით უზრუნველყოფაზეა საუბარი, რომელიც შემდგომში პროექტის განხორციელების საშუალებას მოგვცემს.

თვითონ სისტემური მიდგომა პროექტის ანალიზურ საკითხებში წარმოადგენს ისეთი მეთოდების და საშუალებების ერთობლიობას, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს გამოვიკვლიოთ გამოსაშვები პროდუქციის, მის წარმოებაზე საჭირო საშუალებების და მიმდინარე პროცესების სისტემის თვისებები, ყურადღება მივაქციოთ თითოეულ სტრუქტურას და ფუნქციებს. თანაც გათვალისწინებულ უნდა იყოს სისტემაში ყველა

სტრუქტურათაშორისი კავშირი, ასევე თითოეული სტრუქტურის, სისტემაზე და გარემოზე ურთიერთგავლენა.

სისტემური მიდგომის ძირითადი განსაკუთრებულობა ფირმის საქმიანობასთან მიმართებაში წარმოადგენს ძირითად მამოძრავებელ ღერძს რათა სამომავლოდ პროექტის შესრულებაზე გათვლილმა ქმედებებმა აზრი შეიძინოს, გათვლილი იყოს საჭიროებისამებრ ყველა მდგომარეობა და არ გამოიწვიოს კონკურენტულ ბაზარზე ხარვეზები.

სისტემური მიდგომის დროს აქცენტი კეთდება პროექტის ძირითად საქმიანობასა და მიზნობრიობაზე, როგორც პროცესების მთლიან, ინტეგრაციულ თვისებების ანალიზზე, მისი სტრუქტურის და ფუნქციების გამოვლენაზე. არსებითი მნიშვნელობა აქვს პროექტში მიმდინარე მართვის პროცესებს, რომლებიც მოითხოვენ ინვესტიციებთან მიმართებაში დროით პარამეტრების მიხედვით, თითოეული მუხლის გამოკვლევას, მასში მიმდინარე ცირკულირებული ინფორმაციის, ქმედებების და მიზნის არჩევის თვალთახედვით. (მარინა ქურდაძე, 2019)

საჭიროდ ვთვლით განვმარტოთ, რომ პროექტის განხორციელების თვალსაზრისით კვლევის სისტემური მიდგომის ქვეშ ნაგულისხმევაა ფუნქციონირების პროცესში ქვეპუნქტების რაოდენობასთან ურთიერთობაში და კავშირებში მყოფი საქმიანობა, რომლებიც ქმნიან გარკვეულ ერთიან, მთლიან ორგანიზმს.

აღსანიშნავია, რომ თვითონ ფირმის მიერ განხორციელებული პროექტი წარმოადგენს ერთიანი სისტემის, მოგებაზე გათვლილი კრიტერიუმების შემადგენელი ელემენტების ჯამს, რადგან ეს კატეგორია ყალიბდება მისი შემადგენელი საშუალებათა ურთიერთქმედების შედეგად, თანაც ეს ურთიერთქმედება საქმიანობას აძლევს ახალ თვისებებს, რომელიც არ გააჩნია ცალკე აღებულ ქვეჯგუფთა საშუალებებს. (D. Adamson, 2014) ამიტომ ფირმის მთლიანი მოგება (N) მეტია, ვიდრე ცალკეულად აღებული ქვეჯგუფთა საქმიანობის (n) ჯამი, თანაც მათ ერთიანობის სისტემაში წარმოიქმნება (ΔN) განსაკუთრებული სისტემური თვისებები, ანუ $N - \sum nj = \Delta N > 0$

როგორც ცნობილია მოგების შემდეგ ხდება შემდგომი უახლოესი გეგმის განხორციელების თითოეული ეტაპის განხილვა, რომელიც ფირმის საქმიანობის ფორმატში არის განსახორციელებელი და რეალიზებადი. პროცესების განხორციელება იწვევს აქტივების წრებრუნვას, ფულადი საშუალებები გადადის წარმოების საშუალებებში, წარმოების საშუალებები იღებს მზა პროდუქციის ფორმას, მზა პროდუქცია ისევ გარდაიქმნება ფულად ფორმად და პროდუქციის რეალიზაციის შედეგად უბრუნდება წარმოებას გადიდებული ოდენობით. შემდეგ კვლავ ხორციელდება წრებრუნვა. ბუღალტრულად სამივე პროცესის თითოეული საფეხურის მიხედვით განისაზღვრება დანახარჯების წრებრუნვა და შესაბამისად, ეკონომიკური ეფექტი. (მ. ქურდაძე, 2018) ამის მიხედვით თითოეული ფირმის საქმიანობა დინამიურია, მუდმივად განმეორებადია და ერთი უწყვეტი პროცესია. ბუღალტრულად კი ამ პროცესების ყოველგვარი ცვლილებების გამოსახვა ხდება ფულადი

საზომი ერთეულით რაც ფირმაში მიმდინარე სამეწარმეო საქმიანობის ოპერაციაა. კვლევის მიზნიდან გამომდინარე ამ ერთიან სისტემაში საშუალებათა გაერთიანება უნდა მიმდინარეობდეს შეთანხმებული ურთიერთქმედებების ფორმირების შედეგად, რომელიც ფლობს ინტეგრაციულ თვისებებს რაც გაერთიანებამდე არ ქონდათ.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული მიდგომა, როგორც ერთიან სისტემაში ჩამოყალიბებული საშუალებათა სტრუქტურა არის შედარებით კონსერვატიული მახასიათებელი: ის შეიძლება შენარჩუნდეს უცვლელად საკმაოდ დიდ ხანს, ხოლო უზრუნველყოფის მდგომარეობა ამ დროს შეიძლება არსებითად შეიცვალოს მრავალი მიზეზთა გამო, მაგრამ თუ სისტემის ფუნქცია და სტრუქტურა პრაქტიკულად არ შეიცვლება დროის განსაზღვრული პერიოდისთვის მაშინ მათთვის შემოდის სხვა მსაზღვრელები, როგორც სტაბილური სისტემის მსაზღვრელი.

მეცნიერების ბევრ დარგში მათ შორის ეკონომიკაში, მართვის თეორიაში და ა.შ სისტემურმა მიდგომამ საკმაოდ დაიმკვიდრა ადგილი, რთული ობიექტების გამოკვლევების დროს. მეცნიერებს უყალიბდებათ სისტემური აზროვნება, ანუ ჩვევა იაზროვნონ ისე, რომ ხედავდნენ მთლიან სურათს, თანაც ემყარებოდნენ სხვადასხვა თეორიულ მეთოდს და რთული ობიექტების ინტუიციურ ხედვას მთლიანობაში. როცა კვლევის ახალი ობიექტებისთვის და სხვადასხვა პრაქტიკული ამოცანებისთვის არსებული მოდელები არ კმარა, მაშინ სისტემური აზროვნება საშუალებას იძლევა შექმნას ახალი მოდელები. (მარინა ქურდაძე, 20128) სისტემური აზროვნება ხანდახან გაიგება, როგორც კვლევის მეთოდებისა და ხერხების, სისტემის აღწერის და კონსტრუირების ერთობლიობა. სისტემურ აზროვნებას ხშირად ახასიათებს შინაგანი წინააღმდეგობები და პარადოქსულობა. იმისათვის, რომ გამოვიკვლიოთ რომელიმე ობიექტი, მოვლენა ან პროცესი როგორც სისტემა, აუცილებელია მოვახერხოთ მისი როგორც მთლიანობაში განსაზღვრა და ანალიზი.

პროექტის შედეგის მახასიათებლის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს მისი თვისებები, ანუ რა კატეგორიის მსაზღვრელობითი კრიტერიუმებია და რა კატეგორიის ფუნქციონალურ შესაძლებლობებზეა საუბარი-ჩვენ შემთხვევაში მიდგომები ზოგადია და ამ ერთიანი სისტემისთვის, მხოლოდ სრულყოფილ მახასიათებლებს შევხებით საჭიროების მიხედვით თანაც მნიშვნელოვანია სახელდობრ ის თვისებები, რომლებიც სისტემას განასხვავებენ, როგორც მთლიანს და რომლებიც არ წარმოადგენენ მხოლოდ მისი ელემენტების თვისებების ჯამს (მაინტეგრირებელი). ასეთი მიდგომით, მათემატიკური ფორმულირების თვალსაზრისით, მთლიანი სისტემა (განსახორციელებელი პროექტი) წარმოგვიდგება, როგორც (m) სტრუქტურათა სიმრავლე, რომლებიც წარმოადგენს წინასწარ მოცემული სისტემის (რაც განსაზღვრულია და რაც მოსალოდნელია) წარმომქმნელი (R) თანადობების მატარებლებს (გააჩნიათ არნიშნული თანადობები) ფიქსირებული P თვისებებით. რასაც სიმბოლურად ასე ჩავწერთ: $(m)S = df[R(m)]P$, სადაც S -პრედიკატია. (R) სიმბოლო ჩაიწერება ფრჩხილების მარცხნივ, P -კი მარჯვნივ. მოყვანილი განმარტების და სიმბოლური ჩაწერის ფარგლებში, რომ ამოვხსნათ რომელიმე ამოცანა, საჭიროა გამოვიყოთ

სისტემის წარმომქმნელი მხოლოდ ისეთი (R) თანადობები ელემენტების (m) სიმრავლეზე, რომლებსაც აღმოაჩნდებათ (P) თვისება და რომელიც არსებითია მოცემული ამოცანისთვის. (Kurdadze M., 2019r)

შედეგზე ორიენტაცია და მოსალოდნელი შედეგების ალგორითმების გათვლაზე ეს მიდგომა, როგორც ერთიანი სისტემისა, ზოგადია. სასურველია ამის მიხედვით აისახოს და აიხსნას შემავალ სტრუქტურათა ქცევა და კონკრეტული მიდგომებისთვის კონკრეტული ფორმალიზებული მოდელი.

თუ ავიღებთ რაიმე კონკრეტული საქმიანობის ერთ მთლიან გათვლას, როგორც სიმრავლეს და მას განვიხილავთ როგორც სიმრავლეთა სისტემას. S^* და ამ სიმრავლიდან გამოვყოთ სისტემათა კლასს $S \subset S^*$, რომელთა ფუნქციონირებაც მიმართულია გარკვეული მიზნის რეალიზება, მაშინ (S) შესაძლებელია განვსაზღვროთ შემდეგი სახით: $S = \langle a, st, tPs, co, ti \rangle$; სადაც სისტემის მიზანია- a ; სისტემის სტრუქტურა- st ; მიზნის მიღწევის პირობა- co ; მიზნის მიღწევის დრო- ti ; $tPs \in TP$ -ტექნოლოგიური პროცების სიმრავლე, რომელთა რეალიზაციაც ხდება უშუალოდ შედეგზე და შედეგამდე მიღებული ინფორმაციის დამუშავების მეთოდებსა და საშუალებებზე

$tPs \in TP$ - გულისხმობს იმ დროისთვის არსებული ინფორმაციის გენერირების ტექნოლოგიურ პროცესებს, რაც გამოიხატება აღქმაში, გაცნობიერებაში, გაგებაში, ცოდნის წარმოდგენაში, ლოგიკურ დასკვნაში, პროგნოზირებაში, საქმიანობის რეალიზაციაში, საჭიროების ახსნაში და მიდგომაში. ამიტომ $tPs(met, re, Pr, Is)$, სადაც met -მიზნის მიღწევის მეთოდებია, re -მიზნის მიღწევის საშუალებები, $Pr \sqrt{Is}$ -უკუ ინფორმაცია, რომელიც ყოველთვის იჩენს თავს ასეთ სისტემებში (S). თვითონ ამ სისტემის სტრუქტურა St ორგანიზებულ იქნას ისე, რომ ხელი შეუწყოს მიზნის რეალიზებას. S სისტემის სტრუქტურულ ელემენტებს წარმოადგენს ობიექტები (O), კავშირები (C), თანადობები (R). სისტემის ობიექტებს წარმოადგენს არაცოცხალი (On), ცოცხალი (Oj) და სოციალური (Os) ბუნების ობიექტები. მიზნის მიღწევის საშუალებები (re) განიხილება ფართო გაგებით, მატერიალური, ფინანსური, პროგრამული, ენობრივი, აპარატურული და ა.შ. შემადგენლების გათვალისწინებით.

Is -ინფორმაციის დამუშავება კავშირშია მიზნის რეალიზებასთან. პირობები (Co)- ითვალისწინებს მოთხოვნებს, წინაპირობებს, შედეგებს და ხელს უწყობს მიზნის მიღწევას. 9

დრო (ti)-ისე განისაზღვრება, რომ უზრუნველყოფილია მიზნობრიობა., გამოიყოფილია დროის ინტერვალი, სადაც მიმდინარეობს ყველა აუცილებელი საქმიანობა.

საჭიროება მოითხოვს დავაკონკრეტოთ პროექტის შედეგი და შედეგამდე გათვლილი ყველა შესაძლებლობები, როგორც ერთიანი სისტემის პოტენციალის ცნება, რომელიც არ ითვლება ბაზურ მახასიათებლად, მაგრამ არის ძალზე მნიშვნელოვანი.

როდესაც ფირმაში ორგანიზებულად მიმდინარეობს პროცესი A სისტემაში სტრუქტურული ელემენტების (a_1, a_2, \dots, a_n) ურთიერთქმედება, მიზანმიმართულია და სინქრონიზებულია ძირითადი მიზნის მიღწევაზე. ასეთი სისტემის P პოტენციალი განსაზღვრული პარამეტრის მიხედვით მეტია ყველა შემადგენელი ელემენტის (ქმედების) პოტენციალთა ჯამზე. $P(A) > [P(a_1) + \dots + P(a_n)]$

რაც უფრო მეტია სისტემაში ქმედებები, მით მეტია სისტემის ორგანიზებულობა და მით მეტად აჭარბებს სისტემის პოტენციალი შემადგენელი ქმედებების პოტენციალების ჯამს. როცა სისტემის ორგანიზებულობის ხარისხი არ არის მაღალი ან სისტემაში შეუთანხმებლობის და არამიზანმიმართულობის გამო დაბალიც კი არის, მაშინ:

$$P(A) \leq [P(a_1) + \dots + P(a_n)]$$

ამ დროს ქრება პროექტის შესრულების ინტეგრაციულობის თვისება და ამიტომ სისტემა მკაცრი გაგებით, არ არსებობს, ე.ი ირღვევა ბალანსი ყველა შესაძლებლობების კოეფიციენტებს შორის. ამ შემთხვევაში მაღალი პოტენციალის მისაღწევად, მიზნობრივ სისტემაში აუცილებელია გამოიკვეთოს მიზნის დადგენა და შემადგენელი ელემენტების ურთიერთშეთანხმებული ქმედებების ორგანიზება. სხვა შემთხვევაში არ იარსებებს სისტემის ინტეგრაციულობის თვისება და ხშირად მთლიანი სისტემაც. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუ გამოვიყენებთ ზემოდ მითითებულ ფორმულირებას და კარგად შედგენილ ალგორითმს, მაშინ მიზნის ფუნქცია ნაკლები გათვლებითა და მეტი შესაძლებლობების სისტემური მიდგომების გამოყენებით, მიაღწევს დადებით შედეგს, რომელიც შედეგამდე ორიენტირებული გათვლებით იქნება მარტივად დაბალანსებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

Kurdadze Marina, Kemoklidze Luka *"Rational approach to system analysis research, taking into account the objectives of effective functioning of project implementation."* Монография - Том 2 ГРУЗИНСКИЙ ТЕХНИЧЕСКИЙ УНИВЕРСИТЕТ, БЕЛОСТОКСКИЙ ТЕХНИЧЕСКИЙ УНИВЕРСИТЕТ "ЕВРОПЕЙСКИЕ ИННОВАЦИОННЫЕ ТЕХНОЛОГИИ В ИНЖЕНЕРИИ ОКРУЖАЮЩЕЙ СРЕДЫ" 2021 Tbilisi. (гл. 4, п. 4.24)

მარინა ქურდაძე, ანა ჯიქია. „პროექტის მენეჯმენტის საკომუნიკაციო პარამეტრების მხარდაჭერის კრიტერიუმები და შეფასების ახალი მიდგომები“ *ბიზნეს-ინჟინერინგი. ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი*. 2018.

D. Adamson, . Dyke, H. Jang, and C. P. Rosé, "Towards an Agile Approach to Adapting Dynamic Collaboration Support to Student Needs," *International Journal of Artificial Intelligence in Education*, vol. 24, no. 1, pp. 92–124, 2014.

kurdadze M. "New strategy for optimal management of excess data transmission in telecommunications computer systems." . Yerevan, Armenia (September 24-28). 2019.

Kurdadze M., Lipai T., Ramishvili N., "Characteristics of efficiency of communication systems and the prospects of development in project management" «ТРУД И СОЦИАЛЬНЫЕ ОТНОШЕНИЯ» Рецензируемый научный журнал. г москва. стр103-110 . 2019 г

მ. ქურდაძე, ა. ჯიქია, ნ. რამიშვილი (2018). „ ეკონომიკური პროცესების მართვის სისტემური მიდგომა და მახასიათებელთა კვლევის ეტაპები საბაზრო ეკონომიკის პირობებში“. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „მომბე“ XXXII. 2018. №32. გამომცემლობა „მერიდიანი“ ISSN 2233-3606. უაკ (UDC)33(479.22)(051.2)ს-323

მარინა ქურდაძე, მარინა გარდაფხაძე, „ ფირმის მომარაგებისა და მარაგების საბაზრო გარემოს მექანიზმები და მახასიათებლები“ მეშვიდე საერთაშორისო ეკონომიკურ კონფერენცია - IEC 2019 „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუმბინ, დღეს, ხვალ“ 11-12 ოქტომბერი, 2019წ. ქუთაისი, საქართველო.

Mechanisms and characteristics of systematic research of the market environment of project implementation

Marina Kurdadze¹, Isolda Kurashvili², Ana Jikia³

¹professor. Georgian Technical University. Head of the Academic Department of Digital

Telecommunication Technologies. 555441020, m.kurdadze@gtu.ge , orcid-0009-0001-2918-3328

²associate professor. Georgian Technical University. Academic Department of Digital Telecommunication Technologies. 599557725, kurashviliizolda02@gtu.ge , orcid-0009-0007-9562-5618

³assistant professor. Georgian Technical University. Academic Department of Business Administration. 593270208, ananojia0603@gmail.com orcid-0009-0005-9701-2116

Resume

The process of consistent formation of organizational management structures and functioning mechanisms for the implementation of projects requires the use of single-systemic methods of innovation research, processing, implementation and their realization. Existing or expected obstacles in the functioning mechanism are caused by many internal or external factors affecting it, the difficulty of finding and processing a large amount of necessary information. Therefore, it is necessary to use a unified system of research in project management, there should be a unified field of vision, which will include the unified spectrum of management, and not certain parts of it. In this context, the paper discusses the systematic research and analysis of the subsequent management of projects for the purpose of positive functioning in the firm. The systematic approach is based on the systematic view of the

object of research, in this case the organization of the firm (object, event or process), that is, the totality of its characteristics and the communicative regularities existing between them, the possibility of integrated consideration and research. Using a systematic approach, it is possible to comprehensively understand the problems of functioning of each structure in the firm (object) in this regard, to identify priority subgroups and to rationalize their main economic characteristics.

In the paper, attention is paid to one of the directions of project improvement in the process of functioning in the firm (object). In particular, the targeting of the linear-functional structure in terms of existing circumstances and management, which will be provided by the firm's forces and implement the basic version of the mathematical model of planned actions.

Keywords: *Project, planning, systolic, predicate, linear-functional, basic option.*